

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია
GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



საია და “სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება” 8 სექტემბერს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ყრილობის მიმდინარეობას საქართველოს 10 ქალაქში დააკვირდება

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება ნაციონალური მოძრაობის მიერ 2012 წლის 8 სექტემბერს საქართველოს 10 ქალაქში საარჩევნო კამპანიის ფარგლებში დაგეგმილი ყრილობის მიმდინარეობას დააკვირდება. დაკვირვებას ორგანიზაციის წარმომადგენლები ბუგდიდში, ოზურგეთში, ბათუმში, ამბროლაურში, ახალციხეში, ქუთაისში, გორში, თელავში, რუსთავსა და მცხეთაში განახორციელებენ. სადამკვირვებლო ორგანიზაციები დაკვირვებას წინასაარჩევნო გარემოს გრძელვადიანი მონიტორინგის ფარგლებში ახორციელებენ, რაც პოლიტიკური პარტიების მიერ ორგანიზებულ საჯარო შეხვედრების მიმდინარეობისა და შეკრებებისა და მანიფესტაციის უფლების განხორციელების მონიტორინგს გულისხმობს.

ორგანიზაციის დამკვირვებლები მონიტორინგს გაუწევენ აღნიშნულ ქალაქებში მიმდინარე მოვლენებს, რომლებიც 2012 წლის 8 სექტემბერს საარჩევნო კამპანიის ფარგლებში დაგეგმილი ყრილობის ორგანიზებას და ყრილობაში მონაწილე მოქალაქეების მობილიზება-გადაადგილებას უკავშირდება, ასევე დაესწრებიან პროგრამის „მეტი სარგებელი ხალხს“ პრეზენტაციას.